გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 93

2020 წლის 10 ივლისი
ქალაქი გორი

ა (ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2019 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა (ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2019 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად ა (ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2019 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს

2019 წლის ოქტმობრიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

მესავალი.....3

1.1.ბიუჯეტი.....4-6

1.2.სახელმწიფო შესყიდვები.....6-8

1.3 სამართლებრივი საქმიანობა.....8

1.4.საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....9

1.5.რეაბილიტირებული და ახალისაბავშვობაგა-ბაღები.....9–10

1.6.გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი.....10–12

1.7.აღმზრდელობითი საქმიანობა.....12–14

1.8.მატერიალური უზრუნველყოფა.....14–15

1.9.არსებული პრობლემები და დაგეგმილი ღონისძიებები.....16-17

1.10.დასკვნა 18

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2019 ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშს.

ამ ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 62 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება, საიდანაც 44 დაწესებულება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 18 ქალაქ გორში.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ატენის საბავშვო ბაგა-ბაღთან. ასევე N13 და N14 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას აღსაზრდელებისათვის ქალაქ გორის N1 და N9 საჯარო სკოლებში (ორ ცვლად).

1.1. ბიუჯეტი

1.1.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტი 2019 წლის განმავლობაში შეადგენდა 7 385 000 ლარს, რომელიც განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება - 3 596 642 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 524 574 ლარი;
3. პრემია–დანამატი – 76 202
4. მივლინების ხარჯი - 3 000 ლარი;
5. ოფისის ხარჯი - 803 740 ლარი;
6. კვების ხარჯი - 1 967 044 ლარი;
7. სამედიცინო ხარჯი - 10 000 ლარი;
8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 202 000 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი - 110 000 ლარი;
10. სუბსიდიები - 0 ლარი;
11. სოციალური უზრუნველყოფა - 68 000 ლარი;
12. სხვა ხარჯები - 8000 ლარი;
13. არაფინანსური აქტივების ზრდა - 92 000 ლარი;

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვა 2019 წლის ოქტომბრიდან კალენდარული წლის ბოლომდე.

1. შრომის ანაზღაურება - 927 340 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება 147 416 ლარი;
3. პრემია–დანამატი – 76 098
4. მივლინების ხარჯი - 150 ლარი;
5. ოფისის ხარჯი - 213 533 ლარი;
6. კვების ხარჯი - 718 550 ლარი;
7. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 80 745 ლარი;
8. სამედიცინო ხარჯი - 4500 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი - 20 779 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი - 19 126
11. სუბსიდიები - 0 ლარი;
12. სხვა ხარჯები - 871 ლარი;

13. არაფინანსური აქტივების ზრდა - 41 728 ლარი;

მთლიანად 2019 წლის ოქტომბრიდან კალენდარული წლის ბოლომდე ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა მთლიანობაში შეადგინა 2 250 836 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში შეადგენს 7 600 000 ლარს, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

14. შრომის ანაზღაურება - 3 700 640 ლარი;
15. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 543 000 ლარი;
16. პრემია–დანამატი – 0
17. მივლინების ხარჯი - 3 000 ლარი;
18. ოფისის ხარჯი - 830 300 ლარი;
19. კვების ხარჯი - 2 005 060 ლარი;
20. სამედიცინო ხარჯი - 6 000 ლარი;
21. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 217 000 ლარი;
22. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი - 110 000 ლარი;
23. სუბსიდიები - 0 ლარი;
24. სოციალური უზრუნველყოფა - 70 000 ლარი;
25. სხვა ხარჯები - 15 000 ლარი;
26. არაფინანსური აქტივების ზრდა - 100 000 ლარი;

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვა 2020 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის განმავლობაში:

14. შრომის ანაზღაურება - 1 504 308.29 ლარი;
15. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება 221 884.36 ლარი;
16. პრემია–დანამატი – 0
17. მივლინების ხარჯი - 323 ლარი;
18. ოფისის ხარჯი - 262 417.6ლარი;
19. კვების ხარჯი - 1 008 599.9 ლარი;
20. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 37 847.39 ლარი;
21. სამედიცინო ხარჯი - 500 ლარი;
22. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი - 61 500.9 ლარი;
23. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი - 21 542.11

24. სუბსიდიები - 0 ლარი;
25. სხვა ხარჯები - 8652.75 ლარი;
26. არაფინანსური აქტივების ზრდა - 10 987.15

მთლიანად 2020 წლის მიმდინარე პერიოდის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა მილიანობაში შეადგინა 3 138 563.85 ლარი.

1.2. სახელმწიფო შესყიდვები

1.2.1 საანგარიშო პერიოდში, 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 964 788 ლარი. ამ თანხიდან 523 290 ლარის კვების ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო. სააგენტომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, შეწყვიტა სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი. ამის შემდგომ, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, დაიგეგმა აღრიცხვის სიაში მყოფ 5800 აღსაზრდელზე, შეძენილიყო და გაცემულიყო არამალფუჭებადი კვების პროდუქტები, რომელთა შეძენა და გაცემა მიმდინარეობდა საგანგებო პერიოდის განმავლობაში 4 ეტაპად და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების სრული დაცვით.

2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"-ს რეკომენდაციების შესაბამისად, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ მოქმედ საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩატარდა წყლის ლაბორატორიული შემოწმება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 4702 ლარი. შეძენილი იქნა დეზოქლორი 2730 ლარის და ასევე პირველადი დახმარების მედიკამენტები 6782 ლარის.

ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, აღსაზრდელებისათვის თბილი და მყუდრო გარემოს შესანარჩუნებლად, მოხდა ღუმელების და გამათბობლების შესყიდვა 5566 ლარის, იმ ბაღებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ გათბობის სხვა საშუალება, შეძენილი იქნა 19 040 ლარის საწვავი ბრიკეტი.

სააგენტომ ბაგა-ბაღებისთვის სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძინა მაღალი ხარისხის ჰიგიენის საშუალებები, აგრეთვე სარეცხი და საპრიალებელი პროდუქცია 66 825 ლარის ოდენობის.

საანგარიშო პერიოდში მოხდა 9800 ლარის ღირებულების ჭურჭლის შესიდვა,ასევე მოხდა საშოგაო ნაძვის ხეების შესყიდვა 8484 ლარის.

2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის მიმნდინარე პერიოდის განმავლობაში , აღმზრდელობითი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, საკანცელარიო ნივთების ხარჯმა შეადგინა 66 884 ლარი. შეძენილი იქნა ქსოვილის ნივთები (ნოხები,რეზინის ნოხი, იატაკის ტილო, ავეჯის საწმენდი ტილო) 5988 ლარი.

2019 წელის ოქტომბრიდან 2020 წლის მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით, მოხდა N1,N2,N7 და N18 ბაგა-ბაღების ოთახების კოსმეტიკური რემონტი თანხით 16980 ლარი, ასევე ს.ქვეშის საბავშო ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულამ შეადგინა 111 325 ლარი. ასევე სააგენტოს საბაშვო ბაღების სველი წერტილებისთვის მოხდა 2750 ლარის ღირებულების გამწოვების და გამწოვის მილების შეძენა.

საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა და ასინილიზაციის მომსახურებამ შეადგინა 8590 ლარი.

მოხდა დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და გველების დამაფრთხობელი სამუშაოების მომსახურების შესყიდვა 4500 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია რომ, მარტის თვეში, ქვეყანაში არსებული ეპიდემიის საფრთხიდან გამომდინარე შექმნილი ვითარების გამო, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, განმეორებით ჩატარდა ყველა საჯარო დაწესებულებაში სადეზინფექციო სამუშაოები.

1.2.2 საანგარიშო პერიოდში მოხდა სხვადასხვა საოჯახო ნივთების, (ცოცხები, აქანდაზები დ ა,შ.) 12 250 ლარის ღირებულების შეძენა.

მოხდა მწერებისგან დამცავი ბადეების შეძენა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 2217ლარი.

ასევე მოხდა ავეჯის შესყიდვა, რომლის ღირებულაბამ შეადგინა 31 650 ლარი, ასევე მოხდა საწკავის (პროპანი) შეძენა თანხით 2850 ლარი.

შეძენილი იქნა A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის შეძენა 4 153 ლარის.

მოხდა ქალაქში არსებული ბაგა-ბაღების ინტერნეტიზაცია და გაფორმდა ინტერნეტ-მომსახურების ხელშეკრულებები 15 821 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ადმინისტრაციისა და საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლების კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, სს ,,სილქნეტთან" კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება კორპორატიულ სატელეფონო მომსახურებაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1200ლარი.

1.2.3. გარდა ამისა, გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები რაიონის საბავშვო ბაგა–ბაღის აღსაზრდელების უპრობლემოდ და უსაფრთხოდ ტრანსპორტირების მომსახურებაზე სახლიდან ბაღებში და პირიქით- 140 070 ლარის ოდენობით.

საერთო ჯამში სხვადასხვა მომსახურებების საერთო ღირებულებამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვით შეადგინა 843 444 ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერის ფარგლებში (აუქციონის გარეშე) 1 733 352 ლარი. გარდა ზემოაღნიშნულისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში სააგენტოს მიერ გაფორმდა 76 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 9 შესყიდვა და გაფორმდა 33 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ფარგლებში. (აუქციონის გარეშე).

1.3. სამართლებრივი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო ბაგა-ბაღების ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების სამართლებრივი პროცედურების მოგვარება. ასევე, მოხდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის და ტინისხიდის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების შენობის უზუფრუქტის უფლებით გადმოცემა გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან, რის შემდეგაც უზუფრუქტის უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა მოხდა, ალტერნატიული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებების გაგრძელება სოფელ მეჯვრისხევის, საქაშეთის, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N 18 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ფუქნციონირების მიზნით. გარდა ამისა, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სააგენტოს სხვადასხვა თანამშრომლების მიმართ განხორციელდა დისციპლინური წარმოება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს იურისტების მიერ, გორის რაიონულ სასამართლოში წარმოებული იყო ორი საქმე, რომელთაგანც ერთი საქმის განხილვა დასრულებული არ არის. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სხვადასხვა კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სხვადასხვა კომპანიას პირსაგამტეხლოს სახით დაეკისრა ჯარიმა.

1.4 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს საზოგადოებათან ურთიერთობის სამსახურის მიერ 2017 წლის დასაწყისიდან შეიქმნა ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალება ეძლეოდა მიეღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. რეორგანიზაციის შემდეგ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ვებ–გვერდი აქტიურად აგრძელებს ფუნქციონირებას და თანამშრომლობს ადგილობრივ მედიასაშუალებებთან, მუდმივ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას ჟურნალისტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულის შედეგად უზრუნველყოფილია სააგენტოს საქმიანობის გაშუქება სხვადასხვა მედიასაშუალებების მეშვეობით. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ასევე გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელიც დაკავშირებულია სააგენტოს საქმიანობასთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდის განმალობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია 22 წერილი, რომელიც დაკმაყოფილდა და კანონით დადგენილი წესით მოხდა საჯარო ინფორმაციის გაცემა. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული არც ერთი განცხადება არ გასაჩივრებულა. სააგენტო მომავალშიც მზადაა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის შეუფერხებელი გაცემა.

გარდა ამისა აღსანიშნავია, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში 2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდის განმავლობაში შემოსულია 4 652 განცხადება თუ სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, ხოლო გასული წერილების რაოდენობა შეადგენს 326–ს.

1.5. რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები

2019 წელს და მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდა გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვახვრელის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების რეაბილიტაციის დასრულება. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული დაწესებულება აღიჭურვა ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, ჭურჭლით და სათამაშოებით. დამთავრდა სოფ. ტირძნისის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სადაც ორ ოთახს ჩაუტარდა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. დასრულდა სოფ. ქვეშის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების შენობის მარცხენა ფლიგელის რეაბილიტაცია და ბაღი აღიჭურვა ახალი თანამედროვე

სტანდარტების შესაბამისი აივეკით, ტექნიკით, ჭურჭელით და სათამაშოებით. აღნიშნულის შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებას დაემატა ერთი ასაკობრივი ჯგუფი. ნაქირავებ ფართში მყოფი სოფელ ზერტის და მეჯვრისხევის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის იგეგმება ახალი შენობების მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს პატ.გარეჯვრის, ტყვიავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მიმდინარეობს სოფ. ნიქოზის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში საამშენებლო სამუშაოები ახალი ასაკობრივი ჯგუფის დასამატებლად.

აღნიშნულ საბავშვო ბაგა-ბაღებში, ისევე როგორც სააგენტოს მართვაში არსებულ ყველა საბავშვო ბაღში, ფუნქციონირებს მედდის კაბინეტი.

2019 წლიდან ჩატარდა ნაწილობრივი კოსმეტიკური სამუშაოები, (სამზარეულო, საწყობი, ჭურჭლის გასარეცხი ოთახი) ქალაქ გორის N1, N2, N7, ხოლო 2020 წლის აპრილის თვეში N18 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო იხდის 7 (შვიდი) სკოლამდელი დაწესებულების (სოფელი საქაშეთი, ზერტი, მეჯვრისხევი, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N18 დაწესებულებები) ქირის გადასახადს, რომელიც ფუნქციონირებს ალტერნატიულ ფართში. ქირის თანხა თვის განმავლობაში საერთო ჯამში შეადგენს 7937.50 ლარს.

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი

1.6.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საბავშვო ბაგა-ბაღების მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციები შეადგენდა საბავშვო ბაგა–ბაღების კონტროლს ყველა მიმართულებით.

მოცემული პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის შედეგად ცალკეულ საბავშვო ბაგა-ბაღებში გამოვლინდა გარკვეული დარღვევები, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა სააგენტოს შესაბამის სამსახურს, რომელმაც განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მონიტორინგის ჯგუფი იმყოფებოდა ყველა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში აღსაზრდელთა კონტიგენტის დაზუსტების მიზნით და აღსაზრდელთა დასწრების შემოწმების მიზნით მოწმდებოდა

რეგისტრაციის და დასწრების აღრიცხვის ჟურნალები. ასევე პირადი საქმეები, როგორც აღსაზრდელების ისე მომსახურე პერსონალის, კვირის და თვის საალმზრდელო გეგმები. ასევე თითოეული დაწესებულებიდან მოთხოვნილ იქნა აღსაზრდელთა პირადი მონაცემების ელექტრონული ბაზა.

საანგარიშო პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებებში გამოვლენილი იქნა შემდეგი ტიპის დარღვევები: აღსაზრდელთა დასწრების ჟურნალში არ ფიქსირდებოდა გაცდენილი დღეები, აღსაზრდელთა დასწრების ჟურნალში არ ფიქსირდებოდნენ ჯგუფში მყოფი ბავშვები, აღსაზრდელთა პირადი მონაცემი (სახელი,გვარი) განსხვავებულად იყო დაფიქსირებული ჟურნალსა და პირად საქმეში, არ იყო ნაწარმოები აღსაზრდელთა დროზე ადრე გაყვანის ჟურნალი.

საალმზრდელო განყოფილების სპეციალისტებმა, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, სარეკომენდაციო მითითება მისცეს იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და აღმზრდელებს, სადაც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა დარღვევები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობდა გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მენიუს 10 დღიანი ბავშვთა კვების პერსპექტიული მენიუს მიხედვით.

1.6.2 აღნიშნული მენიუ გამოირჩევა საკვები პროდუქტების მრავალფეროვნებით. დაწესებულებებში გასულ წლებში ორგანიზებული სამჯერადი კვება წახემსების მეშვეობით შეიცვალა ოთხჯერადი კვებით. აგრეთვე შეიცვალა დაწესებულებებში ხორცის პროდუქტების მიწოდების გრაფიკი, რომელიც აქამდე ხორციელდებოდა 2 კვირაში ერთხელ, ამჟამად კი ხორციელდება ყოველკვირეულად. აღსაზრდელებს ყოველდღიურად მიეწოდებათ სასმელი რძე ან რძის შემცველი ნატურალური (ნედლი) რძისაგან დამზადებული რძის პროდუქტები. ბავშვის დღიური კალორაჟი შეადგენს 1292 კალორიას. მენიუში დაბალანსებულია ბავშვის ჯანმრთელი კვებისათვის საჭირო ვიტამინები, ნუტრიენტები, მიკრო და მაკროელემენტები. აგრეთვე დაბალანსებულია ჯანმრთელი ბავშვის კვების რაციონი და კვების გრაფიკი. კვების ორგანიზება (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი) ყველა დაწესებულებაში ხორციელდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები მარაგდება ნატურალური რძის ნაღებისაგან დამზადებული კარაქით, ხოლო რძე ბაღებს მიეწოდებათ ემულგატორებისა და სხვა დამატებითი მაკონსერვებელი საშუალებების

გარეშე. ახალი მენიუსა და კვების ახალი რაციონის დანერგვის შედეგად ერთი აღსაზრდელის დღიური ნორმა შეადგენს 2.7 ლარს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ განხორციელდა ვიზიტები და მონიტორინგი ყველა საალმზრდელო დაწესებულებაში. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი მომავალშიც განაგრძობს აქტიურ მუშაობას, რათა საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობა შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ამ მიზნით ჯგუფი ახორციელებს საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას და ინსტრუქტაჟების ჩატარებას.

ამასთანავე, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში შეიქმნა რეკომენდაციებისა და შენიშვნების ჟურნალი, სადაც მონიტორინგის ჯგუფის წევრები აფიქსირებენ არსებულ გადაცდომებს და გაცემულ რეკომენდაციებს.

1.7. აღმზრდელობითი საქმიანობა

ბაღებში ყველა პირობაა შექმნილი, რათა ბავშვებმა თავი კომფორტულად და ხალისიანად იგრძნონ. მათ ემსახურებათ კვალიფიციური პერსონალი. აღმზრდელების ჯგუფი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. აღსაზრდელებს უვითარებენ საზოგადოებაში ადაპტაციის უნარს და შემოქმედებით ინტერესებს.

მოცემული პერიოდის განმავლობაში, სააგენტოს თანამშრომლების მიერ შემოწმდა როგორც საალმზრდელო პროცესი, ასევე საალმზრდელო გეგმები და დასწრების აღრიცხვის ჟურნალები. შემოწმების შემდეგ, ბაგა-ბაღებმა შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს. მეთოდისტების და ფსიქოლოგების მიერ მთელი წლის მანძილზე სისტემატურად მიმდინარეობდა მეთვალყურეობა საალმზრდელო პროცესზე. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ, საბავშვო ბაღებში საალმზრდელო და სასწავლო ლიტერატურასთან ერთად სათამაშოებიც შეიტანა რაშიც 50 000 ლარი გაიხარჯა.

აღმზრდელობითი კუთხით მუშაობის პარალელურად. ხშირად იგეგმება და ხორციელდება საქველმოქმედო აქციები. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სააგენტოს მენეჯერის ხელმძღვანელობით ქიწნისის მეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღის ერთ-ერთ აღსაზრდელს, სააგენტოს თანამშრომლებმა ეს დღე გაულამაზეს და საჩუქრები გადასცეს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ეროვნული ასოციაციის (ორგანიზაცია „კიკიტას გეორგიკას") ინიციატივით, სააგენტოს ბიბლიოთეკაში, მშობლებისთვის ჩატარდა

ტრენინგი თემაზე ,,ჩემი ბაღის საკონსულტაციო საბჭო". ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები, რომლებიც ამომწურავად მოიცავს ინფორმაციას საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების შესახებ. ტრენინგი ასევე მოიცავდა სკოლამდელი განათლების მნიშვნელობის ზოგად საკითხებს. აღნიშნულ ტრენინგს უძღვებოდა ნინო ალელიშვილი. ამის გარდა, 2019 წლის განმავლობაში, არაერთი ტრენინგი ჩატარდა როგორც სააგენტოს თანამშრომლებისთვის, ასევე ბაგა-ბაღებში მომუშავე პერსონალისთვის.

ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკა"-ს ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ იმ საბავშვო ბაგა–ბაღების წარმომადგენლები, რომელ ბაღებშიც გაკეთდა რესურს ოთახები. ეს იყო ტრენინგი თემაზე: ,,თანამედროვე მეთოდიკა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში". ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ ,,თოჯინა–პერსონა", რომელიც აქტიურად მოგზაურობს მუნიციპალიტეტის ბაგა–ბაღებში და ბავშვებს ეხმარება პრობლემების დაძლევაში. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკათები. ამის შემდეგ, ბევრმა საბავშვო ბაღმა თავად შექმნა „თოჯინა-პერსონა", რომელსაც აქტიურად იყენებენ აღმზრდელები ბავშვებთან სააღმზრდელო პროცესისას.

აღნიშნული ტრენინგის საფუძველზე, სააგენტოს მეთოდისტმა, თეა ელიაშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის ბაგა–ბაღების აღმზრდელებს ამავე თემაზე ჩაუტარა ტრენინგები.

2019 წლის განმავლობაში, კივიტას გეორგიკას და გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ინიციატივით, დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირება", სადაც დატრენინგდა 32 საბავშვო ბაღის დირექტორი. ტრენინგი ორ ეტაპად ჩატარდა. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

2019 წლის 8–12 ოქტომბერს, ,,კივიტას გეორგიკასა" და ორგანიზაცია „ გადავარჩინოთ ბავშვები" –ს (save the children) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა „ ტრენერთა ტრენინგი", რომელსაც ესწრებოდა სააგენტოს მეთოდისტი სოფიო ზერიანიძე.

საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკა"-სა და ორგანიზაცია ,,გადავარჩინოთ ბავშვები"-ს (save the children) ერთობლივი პროექტის ,,საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესების მეშვეობით" ფარგლებში დაფუძნებული სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის ტრენერთა ტრენინგის მონაწილემ, მეთოდისტმა სოფიო ზერიანიძემ, საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის გამართა ტრენინგი თემაზე: ,,ზეიმები საბავშვო ბაღებში".

ტრენინგს ესწრებოდა ქალბატონი ოლღა მუსხელიშვილი–კივიტას გეორგიკას წარმომადგენელი, ნათია ტორონჯაძე–სააგენტოს ფსიქოლოგი და რუსუდან გუგულაშვილი–გორის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი.

2019 წლის 9 ოქტომბერს, USAID/WMTR II პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის 34 ბაგა-ბაღის დირექტორს ჩაუტარდა ერთდღიანი სემინარი ნარჩენების მართვის, მიდგომებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც საქართველოში არსებობს. ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებმა მოახდინეს ამ საკითხების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში და შესაბამისი მასალის გავლის შემდეგ, სკოლამდელმა ბავშვებმა, უკვე იციან ნარჩენების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების პრინციპები.

1.8. მატერიალური უზრუნველყოფა

2019 წლის ოქტომბრის თვიდან მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები ყოველთვიურად უზრუნველყოფილ იქნა საკანცელარიო, ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებებით. პარალელურად მიმდინარეობდა სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოების შესრულება. მოცემული პერიოდის განმალობაში სააგენტოს სანტექნიკის სპეციალისტის, ელექტროენერგიის სპეციალისტის და გაზიფიცირების სპეციალისტების მიერ მოხდა საბავშვო ბაგა-ბაღებში შემდეგი სამუშაოების განხორციელება: წყლის მილების შეცვლა-შეკეთება, აგრეთვე დენის ავტომატების შეცვლა-შეკეთება, გაზის ონკანების დაყენება, ცენტრალური გათბობის სისტემების მოწესრიგება, ცივი და თბილი წლის ონკანების დამონტაჟება, ნიჟარის სიფონების, წყლის მოტორების, უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმების, წყლის ტუმბოს ტვინის დამონტაჟება, გოფრირებული მილების შეცვლა-შეკეთება, ბუნებრივი აირის და დენის გამაცხელებლების დაყენება. ასევე შეკეთდა კარადები, სკამები, საწოლები, ხის და მეტალოპლასტმასის კარფანჯრის სახელურები და ანჯამები, მოწესრიგდა ელექტროსადენები, პლაფონები). ასევე განხორციელდა წყლის ლაბორატორიული ანალიზი. 16 სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებას, სადაც წყალი აღმოჩნდა დაბინძურებული სხვადასხვა მიკრობებით, ჩაუტარდა დეზინფექცია, რის შედეგადაც წყალი სრულად ვარგისია გამოსაყენებლად. ასევე რამდენიმე დაწესებულება საჭიროებიდან გამომდინარე აღიჭურვა სავენტილაციო საშუალებებით. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები ზამთრის სეზონზე უზრუნველყოფილი იყო სათბობი შეშით. დროულად ეწოდებოდა თხევადი გაზი რამდენიმე საჯარო დაწესებულებას.

სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები საჭიროებიდან გამომდინარე აღიჭურვა ტექნიკით: შევიძინეთ ხორცსაკეპი მანქანები, გაზქურები, როგორც მცირე, ასევე დიდი ზომის მაცივრები, წყლის აირის გამაცხელებლი და წყლის დენის გამაცხელებლი,

გადაეცათ სხვადასხვა სახეობის და რაოდენობის ჭურჭელი ასევე ავეჯი, ყველა საჯარო დაწესებულებას გადაეცა სათამაშოები.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, ასევე ბაგა–ბაღებს მიეწოდათ პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით ნაწილობრივ შესრულდა სსიპ–სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მითითებული შენიშვნები და რეკომენდაციები: მოწესრიგდა სამზარეულოები, საწყობები და ჭურჭლის გასარეცხი ოთახები. სააგენტოს მიერ დაწესებულებები აღიჭურვა გასარეცხი ნიჟარებით, დასალაგებელი ინვენტარის კარადებით, პადონებით, დეზობარიერებით, ლითონგადაკრული მაგიდებით, მოწესრიგდა შენობებში გასანათებელი მოწყობილობები და ამჟამადაც მიმდინარეობს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მითითებული შენიშვნების და რეკომენდაციების შესრულება.

გორის მუნიციპალიტეტის 20 სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებას ყოველთვიურად ემსახურება ტრანსპორტი. მათი მეშვეობით, რაიონის მასშტაბით, 45 მიმართულებით ხდება საბავშვო ბაღებში იმ სოფლებში მცხოვრები აღსაზრდელების ტრანსპორტირება, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულება.

სააგენტომ საახალწლოდ სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყო ნაძვის ხეებითა და ნაძვის ხის მოსართავი აქსესუარებით.

2020 წლის დასაწყისში, თებერვლის თვეში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. მარტის თვეში, ეპიდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით. განმეორებით ჩატარდა ყველა საჯარო დაწესებულებაში სადეზინფექციო სამუშაოები. ასევე ბაგა–ბაღებს მიეწოდათ პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

აპრილი–მაისის თვეში რამდენიმე ბაღში გაკეთდა სანტექნიკური მომსახურება. წყლის მოტორების, უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმების, წყლის ტუმბოს ტვინის გოფრირებული მილების შეცვლა–შეკეთება,

მომავალში, ეტაპობრივად იგეგმება საბავშვო ბაგა–ბაღების მომარაგება ახალი ავეჯით, სათამაშოებით, ჭურჭლით, ატრაქციონებით, საჭირო საკანცელარიო საშუალებებით და სხვა ინვენტარით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სააღმზრდელო დაწესებულებებში სწავლის უწყვეტი და შეუფერხებელი პროცესი.

1.9. არსებული პრობლემები და დაგეგმილი ღონისძიებები

სკოლამდელი აღზრდის სააგენტო, მსოფლიოში გავრცელებული გლობალური პანდემიის საფრთხის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. 2 მარტიდან 16 მარტამდე, ხოლო შემდგომ მიმდინარე პერიოდამდე, შეწყვეტილია სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში აღმზრდელობითი პროცესი, მსოფლიო პანდემიის საფრთხის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების გამო. ამ პერიოდში სააგენტომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან მიიღო არაერთი რეკომენდაცია, რომელთა მეშვეობითაც, შეძლებისდაგვარად შესაძლებელი იქნებოდა სააგენტოში დასაქმებული აღმზრდელებისთვის, სახლში დარჩენილ ბავშვებთან დისტანციურად მუშაობა. აღნიშნულ აქტივობებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სააგენტოს მეთოდისტები, რომლებმაც საბავშვო ბაღების დირექტორებთან და აღმზრდელებთან კოორდინაციაში, მოიძიეს და მშობლებს მიაწოდეს სხვადასხვა ონლაინ-აქტივობები, ლიტერატურა და ტელეგადაცემები, რომლებიც დაეხმარებოდნენ აღსაზრდელების მშობლებს სახლში დარჩენილი ბავშვები დაეკავებინათ სხვადასხვა აქტივობებით.

2020 წლის 2 მარტიდან, სააგენტომ გამოაცხადა დაუგეგმავი არდადეგები, მსოფლიო პანდემიის საფრთხის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების გამო. ამის შემდეგ სააგენტომ, მერიასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, სოციალურად დაუცველ 877 აღსაზრდელზე გაეცა კვების პროდუქტების ნაშთები, რომლებიც დარჩა გაუხარჯავი უდროოდ შეწყვეტილი სააღმზრდელო პროცესის გამო. აღსანიშნავია, რომ პროდუქტების გაცემა მიმდინარეობდა ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მიერ გაცემული უსაფრთხოების რეკომენდაციების სრული დაცვით. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, მერიასთან შეთანხმებით სააგენტომ დაგეგმა, აღრიცხვის სიაში არსებული 5800 აღსაზრდელისთვის შეძენილიყო და გაცემულიყო არამალფუჭებადი კვების პროდუქტები. აღნიშნული პროდუქტების გაცემა მიმდინარეობდა 4 ეტაპად საგანგებო მდგომარეობის პირობებში და გაცემული უსაფრთხოების რეკომენდაციების სრული დაცვით.

ასევე აღსანიშნავია რომ, სააგენტოს წინაშე დგას სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების საქმიანობისთვის და მათი აღსაზრდელების მომსახურებისთვის არასაკმარისი არსებული შენობების რაოდენობის პრობლემა, რის გამოც სააგენტოს უწევს შვიდი სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისთვის საჭირო შენობების ქირაობა. აღნიშნული ბაღებია N 1 (ქირის თანხა 1100 ლარი), N 2 (ქირის თანხა 1600 ლარი), N 7 (ქირის თანხა 937.5 ლარი), N 18 (ქირის თანხა 600 ლარი) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ასევე საქაშეთის (ქირის თანხა 700 ლარი), მეჯვრისხევის (ქირის თანხა 1250 ლარი), ზერტის (ქირის თანხა 1750 ლარი)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რაც სააგენტოსთვის კალენდარული წლის განმავლობაში წარმოადგენს 95 250 ლარის ხარჯს.

დაგეგმილი ღონისძიებების სახით, სკოლამდელი აღზრდის სააგენტო სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, გეგმავს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის შრომის ანაზღაურების გაზრდას. ასევე აღსანიშნავია რომ, 2020 წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ გაუმჯობესდება ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, მიმდინარე წლის განმავლობაში იგეგმებოდა სადგურის დასახლებაში 3 ჯგუფიანი სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების გახსნა, რომელიც მოემსახურება შესაბამისი რაოდენობის აღსაზრდელს. ასევე მიმდინარე წლის განმავლობაში იგეგმებოდა ზერტის და მეჯვრისხევის დასახლებებში სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების შენობების მშენებლობის დაწყება, რომელთა დასრულების შემდეგაც, შესაძლებელი იქნება აღნიშნულ შენობებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობა და სააგენტო შეძლებს დაზოგოს აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის შენობების ქირისთვის საჭირო თანხა.

1.10. დასკვნა

2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია ვითარება კვების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი საქმიანობის და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის თვალსაზრისით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო, მიუხედავად ქვეყანაში და არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და რთული გამოწვევებისა, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებულმა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებმა დააკმაყოფილონ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, დაცული იყოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა უსაფრთხოების რეკომენდაცია. სააგენტო პანდემიის რეჟიმშიც აქტიურად განაგრძობს დისტანციურ მუშაობას, რათა ხელი შეუწყოს იმას, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განათლებული და ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.